

შპს „ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი	
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:	
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-33

შპს „ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბიოდიზელი ჯორჯიას“ და მისი შვილობილების (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ჯგუფის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია 2023 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
მურმან პატარაია

28 სექტემბერი, 2023 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბიოდიზელ ჯორჯიას“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბიოდიზელ ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილიშვილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და ჩვენი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედი ეთიკური წესები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვა ეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებად საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინაჩრუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე მოსაზრების გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ სადრიცხო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვეცემ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

კახაბერ თეთრუაშვილი
შპს "ალგი აუდიტი"

28 სექტემბერი, 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	5	5,388,271	5,268,051
გაყიდვების ღირებულება	6	(2,174,896)	(3,304,242)
მთლიანი მოგება		3,213,375	1,963,809
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	7	(240,555)	(153,728)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,899,885)	(1,016,113)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(93,237)	(122,532)
მთლიანი საოპერაციო მოგება		979 689	671 436
სხვა არასაოპერაციო ხარჯები, წმინდა		18,605	(68,907)
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	10	(156,743)	(26,167)
ფინანსური შემოსავალი		10,958	-
ფინანსური ხარჯი		(3,973)	(3,514)
მოგება გადასახადებამდე		848,545	572,848
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		848,545	572,848

ხელმძღვანელთა საბჭოს სახელით:

მურმან პატარაია

დირექტორი

28 სექტემბერი, 2023 წელი

8-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	803,908	261,882
არამატერიალური აქტივები		4,487	4,213
აქტივების გამოყენების უფლება	12	-	74,848
გაცემული სესხი		114,100	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		922,494	340,943
მოკლევადიანი აქტივები			
ქარაგები	13	195,525	118,797
გაცემული სესხები		11,083	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	426,455	363,788
საგადასახადო აქტივები, წმინდა		75,985	99,665
ფული და ფულის ექვივალენტები	15	160,297	50,679
სულ მოკლევადიანი აქტივები		869 345	632 929
სულ აქტივები		1,791,839	973,872
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი	16	493,169	493,169
გაუნაწილებელი მოგება		1,011,065	162,520
მთლიანი კაპიტალი		1,504,234	655,689
მოკლევადიანი ვალდებულებები			
აღებული სესხები		40,404	40,404
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	247,201	201,810
საიჯარო ვალდებულება	12	-	75,969
სულ მიმდინარე ვალდებულებები		287,605	318,183
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,791,839	973,872

ხელმძღვანელთა საბჭოს სახელით:

მურმან პატარაია

დირექტორი

28 სექტემბერი, 2023 წელი

8-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი“

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერს	493,169	(410,328)	82,841
წლიური ზარალი	-	(115,914)	(115,914)
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს	493,169	162,520	655,689
წლის მთლიანი კონსოლიდირებული მოგება	-	848,545	848,545
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს	493,169	1,011,065	1,504,234

ხელმძღვანელთა საბჭოს სახელით:

მურმან პატარაია

დირექტორი

28 სექტემბერი, 2023 წელი

8-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლიური მოგება	848,545	572,848
კორექტირებები:		
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	133,819	91,192
ძირითადი საშუალებების ჩამოწრა	-	-
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	(6,984)	3,515
დებიტორულ დავალიანებებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი 9, 14	26,466	32,519
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა 10	156,743	26,167
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,158,589	728,730
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე	(89,134)	(356,681)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(76,728)	68,411
მარაგების შემცირება	23,680	(86,114)
საგადასახადო აქტივების ცვლილებები	45,391	(247,429)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება	6,984	(3,516)
გადახდილი პროცენტი		
მიღებული/(გადინებული) ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, წმინდა	1,068,782	103,401
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(613,282)	(100,046)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	12,012	102,050
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში	(125,183)	-
მიღებული/(გადინებული) ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან, წმინდა	(726,453)	2,004
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის გატანა	-	-
საიჯარო ვალდებულების გადახდა	(74,151)	(26,792)
სესხის გადახდა	-	(63,815)
საფინანსო საქმიანობით გამომუშავებული წმინდა ფულადი სახსრები	(74,151)	(90,607)
წმინდა შემცირება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	268,178	14,798
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	50,679	68,341
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ნაღდი ფულის ნაშთზე	(158,561)	(32,460)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	160,297	50,679

მურმან პატარაია

დირექტორი
 28 სექტემბერი, 2023 წელი

8-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(*ქართულ ლარში*)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბიოდიზელი ჯორჯია“ („კომპანია“) დაფუძნდა 2017 წლის 28 ივნისს ქ.თბილისში. ჯგუფის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თბილისში, ცინცაძის ქუჩაზე. ჯგუფი ძირითადად ბიოდიზელის წარმოებითა და გაყიდვით არის დაკავებული. გარდა ამისა, ჯგუფს ექსპორტით გააქვს გამოყენებული საკვები ზეთი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მფლობელები არიან: ფიზიკური პირი მურმან პატარაია - 10% და შეზღუდული პასუხისმგებლობის ჯგუფი „ინსპექტორი“ - 90%. შპს „ინსპექტორის“ 100%-ის მფლობელი როსტომ ნაკაშიძეა.

კომპანია წარმოადგენს შემდეგი სუბიექტის (ერთად მოიხსენიება როგორც „ჯგუფი“) დედა კომპანიას, აღნიშნული სუბიექტები გათვალისწინებულნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

		31 დეკემბერი, 2022 წ. კომპანიის წილი	31 დეკემბერი, 2021 წ. კომპანიის წილი
ფირმის სახელი	აქტივობა		
შპს სატრანსპორტო ლოჯისტიკური კომპანია ოილ ლოჯისტიკი	სატრანსპორტო მომსახურება	100%	100%
		100%	
წარმოება გრინ ჰაბ თბილისი შპს კომპანია			

2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტები, რომლებიც ძალაშია მიმდინარე წლისთვის.

ცვლილება ფასს 16-ში.

ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტები გამოცემულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ძალაში.

ფასს 17 (ფასს 17-ის 2020 წლის ივნისის შესწორების ჩათვლით) – სადაზღვევო ხელშეკრულებები;
ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში – „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“;
ცვლილებები ბასს 1-ში – „ვალდებულებების მოკლე ან გრძელვადიანად კლასიფიცირება“;
ცვლილებები ფასს 3-ში – „კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“;
ცვლილებები ბასს 16-ში – „ძირითადი საშუალებები - შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“;
• ცვლილებები ბასს 37-ში – „დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“;
ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 ციკლი (ცვლილებები ფასს 1-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად მიღება, ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს 16 იჯარა და ბასს 41 სოფლის მეურნეობა);
ცვლილებები ბასს 1-სა და ფასს-ის პრაქტიკის დებულება 2-ში – სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება;
ცვლილებები ბასს 8-ში – სააღრიცხვო შეფასებების განმარტება;
ცვლილებები ბასს 12-ში – ერთ ტრანზაქციასთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადები და ვალდებულებები.

ფასს 17 – სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფასს 17 ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის პრინციპებს და ანაცვლებს ფასს 4 სადაზღვევო ხელშეკრულებებს ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს (უნივერსალურ მოდელს) სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელსაც ერთვის ცვლადი გადასახადების მიდგომა ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებსაც აქვს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლები. უნივერსალური მოდელი გამარტივებულია, თუ გარკვეული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია პრემიის განაწილების მიდგომის გამოყენებით დარჩენილი დაფარვის ვალდებულების გაზომვით. უნივერსალური მოდელი იყენებს მიმდინარე ვარაუდებს მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის, დროისა და არასაიმედოობის შესაფასებლად და მკაფიოდ ზომავს ამ არასაიმედოობის

ღირებულებას. ის ითვალისწინებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს და დაზღვეულთა ოპციებისა და გარანტიების გავლენას. 2020 წლის ივნისში, ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 17-ში, იმ პრობლემებისა და იმპლემენტაციური გამოწვევების მოსაგვარებლად, რომლებიც გამოვლინდა ფას 17-ის გამოქვეყნების შემდეგ. ცვლილებები აჩერებს ფასს 17-ის საწყისი გამოყენების თარიღს (მასში შედის ცვლილება) ყოველწლიურ საანგარიშო პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. ამავდროულად, ბასს-მა გასცა ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების გაგრძელება (ცვლილებები ფასს 4) რომელიც აგრძელებს ფასს 9-ის ფასს 4-ში დროებითი განთავისუფლების ვადის გასვლის თარიღს წლიურ ანგარიშგების პერიოდებზე, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. ფასს 17-ის რეტროსპექტულად გამოყენება სავალდებულოა. თუმცა, თუ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის სრული რეტროსპექტული გამოყენება შეუძლებელია, მაშინ საწარმო ვალდებულია, აირჩიოს ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, ან რეალური ღირებულების მეთოდი. გარდამავალი მოთხოვნების მიზნით, პირველადი გამოყენების თარიღი არის დასაწყისი, თუ წლიური საანგარიშო პერიოდი, რომელშიც საწარმომ პირველად გამოიყენა სტანდარტი, ხოლო გარდამავალი თარიღი არის იმ პერიოდის დასაწყისი, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა პირველადი გამოყენების თარიღს.

ცვლილებები ფასს 10-სა - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28-ში – ინვესტიციები მეკავშირე პირებსა და ერთობლივ საწარმოებში —აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის

ფასს 10-სა და ბასს 28-ში შეტანილი ცვლილებები ეხება სიტუაციებს, როდესაც ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის ხდება აქტივების გაყიდვა ან შენატანის განხორციელება. კერძოდ, ცვლილებების მიხედვით შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც არ მოიცავს ბიზნესს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოსთან ტრანზაქციაში, რომლის აღრიცხვაც ხდება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით, აღიარებულია მშობელი კომპანიის მოგებაში ან ზარალში მხოლოდ იმ არამეკავშირე ინვესტორების ინტერესების ფარგლებში ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მიმართ. ანალოგიურად, მოგება და ზარალი, რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი ყოფილი შვილობილი კომპანიის (რომელიც გახდა მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო, რომელთა აღრიცხვაც ხდება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით) შეფასებით რეალური ღირებულებით, აღიარდება ყოფილი მშობელი კომპანიის მოგებაში ან ზარალში მხოლოდ ახალი მეკავშირის ან ერთობლივი საწარმოს არამეკავშირე ინვესტორების ინტერესების ფარგლებში. ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ბასს-ის მიერ; თუმცა, ცვლილებების ადრეული გამოყენება დასაშვებია. ჯგუფის დირექტორები ვარაუდობენ, რომ ამ ცვლილებების გამოყენებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში, თუ ასეთი ტრანზაქციები წარმოიქმნება.

ბასს 1-ის ცვლილებები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა – ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ბასს 1-ის ცვლილებები გავლენას ახდენს მხოლოდ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე და არა რაიმე აქტივის, ვალდებულების, შემოსავლების ან ხარჯების აღიარების ოდენობაზე ან დროზე, ან ამ ერთეულებზე გამჟღავნებულ ინფორმაციაზე. შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებს, რომლებიც არსებობს საანგარიშო პერიოდის ბოლოს, განმარტავს, რომ კლასიფიკაციაზე გავლენას არ მოახდენს მოლოდინი იმის შესახებ, გამოიყენებს თუ არა საწარმო ვალდებულების დაფარვის უფლებას, განმარტავს, რომ უფლებები არსებობს, თუკი შეთანხმებები შესრულდება საანგარიშო პერიოდის დასასრულს და შემოაქვს „ანგარიშსწორების“ განმარტება იმის გასაგებად, რომ ანგარიშსწორება გულისხმობს ნაღდი ფულის, წილობრივი ინსტრუმენტების, სხვა აქტივების ან მომსახურების კონტრარგუმენტზე გადაცემას. შესწორებები რეტროსპექტულად უნდა იქნას გამოყენებული 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

ცვლილებები ფასს 3-ში საწარმოთა გაერთიანება – „კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“;

ცვლილებები განაახლებს ფასს 3 ისე, რომ იგი შეეხება 2018 წლის კონცეპტუალურ საფუძვლებს, 1989 წლის საფუძვლების ნაცვლად. მათ საფუძველზე IFRS 3 -ს ასევე ემატება მოთხოვნა, რომ ვალდებულებების შემთხვევაში ბასს 37-ის ფარგლებში, შემსყიდველმა გამოიყენოს ბასს 37, რათა დაადგინოს, არსებობს თუ არა შესყიდვის თარიღისთვის მიმდინარე ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად. იმ მოსაკრებლისთვის,

რომელიც ხდება ფასიკ 21 მოსაკრებლის ფარგლებში, შემსყიდველმა უნდა გამოიყენოს ფასიკ 21, რათა დაადგინოს, არის თუ არა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც იწვევს მოსაკრებლის გადახდის პასუხისმგებლობას დამდგარი შეძენის თარიღისთვის. საბოლოოდ, ცვლილებებით ხდება მკაფიო განცხადების დამატება, რომ შემსყიდველი არ აღიარებს საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილ კონტინგენტურ აქტივებს. ცვლილებები ძალაშია საწარმოთა გაერთიანებისთვის, რომლებისთვისაც შეძენის თარიღი დადგა 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ პირველი წლიური პერიოდის დასაწყისში ან მის შემდეგ. ადრეული გამოყენება დასაშვებია, თუ სუბიექტი ასევე იყენებს ყველა სხვა კორექტირებულ მითითებებს (გამოქვეყნებულია განახლებულ კონცეპტუალურ საფუძვლებზე საცნობარო მითითებებთან ერთად) ერთდროულად ან უფრო ადრე.

ბასს 16 ძირითადი საშუალებები - შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე

ცვლილებები კრძალავს ძირითადი საშუალებების თვითღირებულების შემცირებას იმ აქტივების შემოსულობებით, რომლებიც წარმოებულია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ძირითადი საშუალებების მომზადებისას, საჭირო კონდიციამდე, ლოკაციამდე მიყვანისას. შესაბამისად, სუბიექტი აღიარებს გაყიდვების შემოსულობებს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს მოგების ან ზარალის სახით. სუბიექტი აფასებს ამ ნივთების ღირებულებას ბასს 2 მარაგების შესაბამისად. ცვლილებები ასევე განმარტავს, თუ რას გულისხმობს „ტესტირება აქტივის ფუნქციონირებს დასადგენად“. ბასს 16 განმარტებით ახლა ეს განისაზღვრება, როგორც შეფასება იმისა, არის თუ არა აქტივის ტექნიკური და ფიზიკური ეფექტიანობა ისეთი, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მიწოდებაში, სხვებისთვის გასაქირავებლად, ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის. თუ ცალკე არ არის წარმოდგენილი, ყოვლისმომცველი შემოსავლის ანგარიშგებაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებით უნდა გამჟღავნდეს მოგებაში ან ზარალში შემავალი შემოსულობებისა და ღირებულების თანხები, რომლებიც ეხება წარმოებულ ნივთებს, რომლებიც არ წარმოადგენს სუბიექტის ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგს, და უნდა განისაზღვროს რომელი ხაზის მუხლ(ებ)ი მოიცავს ასეთ შემოსულობებსა და ხარჯებს ყოვლისმომცველ შემოსავლის განცხადებაში. ცვლილებები გამოიყენება რეტროსპექტულად, თუმცა მხოლოდ ძირითადი საშუალებების იმ მუხლებისთვის, რომლებიც მიყვანილია იმ ლოკაციასა და კონდიციამდე, რაც აუცილებელია მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული მიზნისთვის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ადრეული პერიოდის დასაწყისში ან მის შემდეგ, სადაც სუბიექტი პირველად იყენებს შესწორებებს. ორგანიზაციამ უნდა აღიაროს ცვლილებების საწყისი გამოყენების კუმულაციური ეფექტი, როგორც გაუნაწილებელი მოგების (ან სხვა კაპიტალის კომპონენტის საწყისი ბალანსის კორექტირება) წარმოდგენილი პერიოდიდან უახლეს თარიღში. შესწორებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

ცვლილებები ბასს 37-ში – ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები - დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი

ცვლილებებში მითითებულია, რომ ხელშეკრულების "შესრულების ღირებულება" მოიცავს "ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ ეხება ხელშეკრულებას". ხარჯები, რომლებიც უშუალოდ ეხება ხელშეკრულებას, შედგება როგორც ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის გაწეული დამატებითი ხარჯებისგან (მაგალითად, პირდაპირი შრომა ან მასალები), ასევე სხვა ხარჯების გამოყოფა, რომლებიც უშუალოდ ეხება ხელშეკრულებების შესრულებას (მაგალითად, ამორტიზაციის ხარჯის განაწილება ძირითადი საშუალებისთვის, რომელიც გამოიყენება ხელშეკრულების შესრულებისას). ცვლილებები ეხება ხელშეკრულებებს, რომლებზეც სუბიექტს ჯერ არ შეუსრულებია ყველა ვალდებულება წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც სუბიექტმა პირველად გამოიყენა ცვლილებები. შედარებების შესწორებებს ადგილი არ ჰქონია ამის ნაცვლად, ორგანიზაციამ უნდა აღიაროს ცვლილებების საწყისი გამოყენების კუმულაციური ეფექტი, როგორც გაუნაწილებელი მოგების ან სხვა კაპიტალის კომპონენტის საწყისი ბალანსის კორექტირება, სიტუაციიდან გამომდინარე, თავდაპირველი გამოყენების თარიღში. შესწორებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად მიღება, ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს 16 იჯარა და ბასს 41 სოფლის მეურნეობა)

წლიური გაუმჯობესება მოიცავს ოთხ სტანდარტში ცვლილებებს: ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - ცვლილება შვილობილ კომპანიას, რომელიც გადაწყვეტს გამოიყენოს ფასს პირველად მის მშობელ კომპანიის შემდეგ, კუმულაციური საკურსო სხვაობების აღრიცხვასთან დაკავშირებით ანიჭებს დამატებით შეღავათს. ცვლილების შედეგად შვილობილ კომპანიას, რომელიც გადაწყვეტს გამოიყენოს ფასს 1-ის დ16(ა) მუხლი, უფლებას აძლევს, კუმულაციური საკურსო სხვაობა ყველა საერთაშორისო ტრანზაქციისთვის საბალანსო ღირებულებით, რაც გათვალისწინებული იქნება დედა კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, და შეაფასოს მშობელი კომპანიის მიერ გაცხადებული თანხებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის მიხედვით, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების ეფექტისთვის, სადაც კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია, არ განხორციელებულა კორექტირებები. ეს ცვლილება ასევე გამოიყენება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებზე, რომლებიც არჩევენ ფასს 1-ის დ16 (ა) მუხლის გამოყენებას. შესწორებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები შესწორება განმარტავს, რომ „10 პროცენტიანი“ ტესტის გამოყენებისას ფინანსური ვალდებულების აღიარების გაუქმების შეფასების მიზნით, საწარმო ითვალისწინებს მხოლოდ საწარმოს (მსესხებელს) და კრედიტორს შორის გადახდილ ან მიღებულ საკომისიოს, მათ შორის გადახდილ ან მიღებულ საკომისიოს საწარმოს ან გამსესხებელის მიერ სხვის სახელით. ცვლილება გამოიყენება პერსპექტიულად ცვლილებებისა და სავალუტო ტრანზაქციებისთვის, რომლებიც მოხდა საწარმოს მიერ პირველად ფასს-ის გამოყენების დღეს ან მის შემდეგ. შესწორებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ფასს 16 იჯარები შესწორება აუქმებს საილუსტრაციო მაგალითს საიჯარო ქონების გაუმჯობესების ანაზღაურების შესახებ. რამდენადაც, ფასს 16 -ის შესწორება ეხება მხოლოდ საილუსტრაციო მაგალითს, მოქმედების თარიღი მითითებული არ არის. ბასს 41 სოფლის მეურნეობა შესწორებით ამოღებულია ბასს 41-ის მოთხოვნა, რომ სუბიექტებმა არ გაითვალისწინონ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის რეალური ღირებულების გაზომვისას. ამით რეალური ღირებულების გაზომვა ბასს 41-ის მიხედვით შესაბამისობაში მოვიდა ფასს 13 რეალური ღირებულების გაზომვის მოთხოვნებთან, რომ სუბიექტის შიგნით გამოყენებულ იქნას თანმიმდევრული ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთები და მისცეს მომზადებულებს საშუალება, განსაზღვრონ გამოიყენონ, გადასახადებამდე ან გადასახადების გადახდის შემდგომ ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთები ყველაზე შესაფერისი რეალური ღირებულების გაზომვისთვის. ცვლილება გამოიყენება პერსპექტიულად, ანუ რეალური ღირებულების გაზომვისთვის საწარმოს მიერ პირველად ფასს-ის გამოყენების დღეს ან მის შემდეგ. შესწორებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

ცვლილებები ბასს 1-ში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ფასს პრაქტიკის დებულება 2-ში არსებითობის განსჯა - სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება

ცვლილებები ცვლის მოთხოვნებს ბასს 1-ში სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებასთან დაკავშირებით. ცვლილებები ანაცვლებს ტერმინის „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა“ ყველა ინსტანციაში ტერმინით - „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია“. სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არის არსებითი, თუ სუბიექტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილ სხვა ინფორმაციასთან ერთად განიხილება, გონივრულად შეიძლება მოსალოდნელი იყოს, რომ მან გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ზოგადი დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები აკეთებენ ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. ბასს 1-ის დამხმარე პუნქტები ასევე შესწორებულია იმის ნათელსაყოფად, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, რომელიც ეხება არამატერიალურ გარიგებებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს, არამატერიალურია და არ არის საჭირო მათი გამჟღავნება. საბუღალტრო პოლიტიკის ინფორმაცია შეიძლება იყოს არსებითი, დაკავშირებული გარიგების, სხვა მოვლენების ან პირობების ხასიათის გამო, მაშინაც კი, თუ თანხები არამატერიალურია. თუმცა, ყველა სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, რომელიც ეხება არსებით ტრანზაქციებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს, შესაძლოა არ იყოს არსებითი. საბჭომ ასევე შეიმუშავა სახელმძღვანელო და მაგალითები, რათა ახსნას და აჩვენოს „ოთხბიჯიანი არსებითობის პროცესი“ გამოყენება, რომელიც აღწერილია ფასს პრაქტიკის მე-2 დებულებაში. ბასს 1-ის ცვლილებები ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით და გამოიყენება პერსპექტიულად. ფასს პრაქტიკის მე-2 განცხადებაში შეტანილი ცვლილებები არ შეიცავს ძალაში შესვლის თარიღს ან გარდამავალ მოთხოვნებს.

ცვლილებები ბასს 8 სააღრიცხვო პოლიტიკაში, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასებების განმარტება

ცვლილებები ანაცვლებს საბუღალტრო შეფასებების ცვლილების განმარტებას საბუღალტრო შეფასებების განმარტებით. ახალი განმარტების თანახმად, საბუღალტრო შეფასებები არის „ფულადი თანხები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც გაზომვისას არის ბუნდოვანი“. ამოღებულია ბუღალტრული აღრიცხვის შეფასების ცვლილების განმარტება. თუმცა, საბჭომ შეინარჩუნა სტანდარტში საბუღალტრო შეფასებების ცვლილებების კონცეფცია შემდეგი განმარტებით:

* ბუღალტრული აღრიცხვის შეფასების ცვლილება, რომელიც ახალი ინფორმაციის ან ახალი მოვლენების შედეგია, არ წარმოადგენს შეცდომის კორექტირებას

* მონაცემის ან გაზომვის ტექნიკის ცვლილების შედეგები, რომლებიც გამოიყენება ბუღალტრული აღრიცხვის შეფასების შემუშავებისას, წარმოადგენს ცვლილებებს საბუღალტრო შეფასებებში, თუ ისინი არ წარმოიქმნება წინა პერიოდის შეცდომების კორექტირების შედეგად, საბჭომ დაამატა ორი მაგალითი (მაგალითები 4-5) IAS 8-ის დანერგვის სახელმძღვანელოს სახით, რომელიც თან ახლავს სტანდარტს.

საბჭომ წაშალა ერთი მაგალითი (მაგალითი 3), რადგან ცვლილებების ფონზე მას შესაძლოა გამოეწვია გაურკვევლობა. ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებსა და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისთვის, რომლებსაც ადგილი აქვს ამ პერიოდის დასაწყისში ან მის შემდეგ, ადრეული გამოყენება დაშვებულია.

ცვლილებები ბასს 12-ში - მოგების გადასახადები - ერთ ტრანზაქციასთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადები და ვალდებულებები.

ცვლილებები წარმოადგენს თავდაპირველი აღიარების გამონაკლისის დამატებით გამონაკლისს. ცვლილებების თანახმად, სუბიექტი არ იყენებს პირველადი აღიარებისგან გათავისუფლებას იმ ტრანზაქციებისთვის, რომლებიც იწვევს ერთმანეთის ტოლ დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით განსხვავებებს. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ერთმანეთის ტოლი დასაბეგრი თანხების და გამოქვითვების დროებითი განსხვავებები შეიძლება წარმოიშვას აქტივის და ვალდებულების პირველადი აღიარებისას ისეთ ტრანზაქციაში, რომელიც არ მიეკუთვნება საწარმოთა გაერთიანებას და გავლენას არ ახდენს არც ბუღალტრულ და არც დასაბეგრ მოგებაზე. მაგალითად, ეს შეიძლება წარმოიშვას იჯარის ვალდებულების და შესაბამისი გამოყენების უფლების აქტივის აღიარებისას, რომელიც იყენებს ფასს 16-ს იჯარის დაწყების თარიღში. ბასს 12-ში ცვლილებების შემდეგ, სუბიექტი ვალდებულია აღიაროს დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, ხოლო ნებისმიერი გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ექვემდებარება აღდგენას ბასს 12-ში მოცემული კრიტერიუმებით. საბჭო ასევე უმატებს საილუსტრაციო მაგალითს ბასს 12-ისთვის, რომელიც განმარტავს, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ცვლილებები.

ცვლილებები ეხება ტრანზაქციებს, რომლებსაც ადგილი აქვთ ყველაზე ადრეულ შედარებითი პერიოდის დასაწყისში ან მის შემდეგ. გარდა ამისა, ყველაზე ადრეული შედარებითი პერიოდის დასაწყისში სუბიექტი აღიარებს:

* გადავადებულ საგადასახადო აქტივს (იმდენად, რამდენადაც სავარაუდოა, რომ ხელმისაწვდომი იქნება დასაბეგრი მოგება, რომლის წინააღმდეგაც შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოქვითვადი დროებითი სხვაობა) და გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას ყველა გამოქვითვადი და დასაბეგრი დროებითი განსხვავებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგთან:

- აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

- ექსპლუატაციიდან გამოყვანა, რემონტი და მსგავსი ვალდებულებები და მათთან დაკავშირებული აქტივის ღირებულების ნაწილად აღიარებული შესაბამისი თანხები

ცვლილებების საწყისი გამოყენების კუმულაციური ეფექტი, როგორც გაუნაწილებელი მოგების ან სხვა კაპიტალის კომპონენტის საწყისი ბალანსის კორექტირება, სიტუაციიდან გამომდინარე, ამავე თარიღში

შესწორებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი – ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად, ისტორიული ხარჯების კონვენციის შესაბამისად. ისტორიული ღირებულება ემყარება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ მიღებული თანხების გაანგარიშების სამართლიან ღირებულებას.

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა მუდმივად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

ზოგადად, არსებობს ვარაუდი, რომ ხმის მიცემის უფლებების უმრავლესობა იწვევს კონტროლს. ამ პრეზუმფციის მხარდასაჭერად და როდესაც ჯგუფს აქვს უმრავლესობაზე ნაკლები ხმის მიცემის ან ინვესტორის მგსავსი ხმის მიცემის უფლება, ჯგუფი განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას იმის შეფასებისას, აქვს თუ არა მას ძალაუფლება ინვესტორზე, მათ შორის:

- ▶ ხელშეკრულების შეთანხმებ(ებ)ი ინვესტორის სხვა ხმის მიცემის უფლებების მქონე პირებთან;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლება და პოტენციური ხმის უფლება.

ჯგუფი მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და ახალი გარემოებები მიუთითებს თუ არა, რომ შეიცვალა სამიდან ერთი ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც ჯგუფი კარგავს შვილობილ კომპანიაზე კონტროლს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გათავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

-მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. ჯგუფის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი. საჭიროების შემთხვევაში, კორექტირება ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამებოდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკას. ყველა ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

შვილობილი კომპანიის საკუთრების წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, აღირიცხება როგორც საწესდებო ტრანზაქცია. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი აუქმებს დაკავშირებული აქტივების (მათ შორის გუდვილს), ვალდებულებების, არამაკონტროლებელი-წილის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო ნებისმიერი შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ნებისმიერი გაუნაწილებელი ინვესტიციის აღიარება ხდება რეალური ღირებულებით.

საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით. შესყიდვის ღირებულება გამოითვლება შემდეგი კომპონენტების დაჯგუფებით: შესყიდვის დღეს რეალური ღირებულებით გადახდილი საფასური და შეძენილი კომპანიის ნებისმიერი უმცირესობის წილის მოცულობა საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, ჯგუფი შეძენილი კომპანიის არამაკონტროლებელ წილს აფასებს რეალური ღირებულებით ან ამოცნობადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის შესაბამისად.

